შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი 2015“.

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლის დონის ამაღლებას, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას. კონკურსი ღია და თანასწორი კონკურენციის პირობებში გამოავლენს და წაახალისებს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს, სტიმულს მისცემს მათი შემოქმედებითი აზროვნების, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლე.

კონკურსში განაცხადების წარდგენა შესაძლებელია ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს. კონკურსზე პროექტის დარეგისტრირების შემდეგ ჯგუფის წევრთა ცვლილება დაუშვებელია.

**კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**
კონკურსის **პირველ ეტაპზე,** საგანაცხადო ფორმა და კვლევის გეგმა/პირველადი იდეა (ატვირთული PDF ფაილის სახით) კონკურსის მონაწილემ უნდა გამოაგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: leonardo2015@rustaveli.org.ge. საკონკურსო კომისია წარდგენილ საგანაცხადო ფორმასა და კვლევის გეგმას/პირველად იდეას განიხილავს პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და განსაზღვრავს კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ პროექტებს.

**კონკურსის მეორე ეტაპზე** გადასული მოსწავლეებმა, განაცხადი უნდა დაარეგისტრირონ ფონდის ელექტრონულ ბაზაში. ფონდის ელექტრონულ ბაზაშივე უნდა აიტვირთოს პროექტის აღწერილობისა და საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის ან/და ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილები (ფოტოები). დასაშვებია ნახაზების დასკანერებული ვარიანტის ატვირთვა. ასევე უნდა აიტვირთოს ხელმძღვანელის და შესაბამისი დარგის მეცნიერის ან ზედამხედველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები. განაცხადის დარეგისტრირების შემდგომ მონაწილეებმა უნდა ამობეჭდონ შევსებული „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ და ხელმოწერილი სახით (საილუსტრაციო ნახაზთან /მოდელთან/მაკეტთან ერთად) წარადგინონ ფონდში, ხოლო რეგიონებში მცხოვრებმა მონაწილეებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების (შესაბამისი რაიონის) საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში.

კონკურსის განრიგი:

- **2015 წლის 18 სექტემბერი -** კონკურსის გამოცხადება
- **2015 წლის 15 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე** კონკურსის **პირველ ეტაპზე** საკონკურსო ნამუშევრების პირველადი იდეის, კვლევის გეგმისა და შევსებული საგანაცხადო ფორმის (ატვირთული pdf ფაილის სახით) წარდგენა ელექტრონულად შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: leonardo2015@rustaveli.org.ge ;
- **2015 წლის 16 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე** ამობეჭდილი განაცხადების წარდგენა ფონდში;
- **2015 წლის 23 ოქტომბერი -** მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტების სიის გამოვლენა;
- **2015 წლის 26 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 ნოემბრის 17:00 სთ-მდე** კონკურსის **მეორე ეტაპზე,** საკონკურსო განაცხადების ფონდის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია, გამოგონების აღწერილობისა და საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის/ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილების ატვირთვა;
- **2015 წლის 1 დეკემბერი 18:00 საათამდე** რაიონულ რესურს-ცენტრში, ან ფონდის კანცელარიაში ხელმოწერილი „განაცხადის კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ და საილუსტრაციო ნახაზი/მოდელი/მაკეტის წარდგენა;

- **2015 წლის 18 დეკემბერი** გამოფენა და გამარჯვებულების დაჯილდოება.

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ ქვემოთმოცემული ბმულებით:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება
- ცვლილება საქართველოს მთავრობის დადგენილებაში
- გენერალური დირექტორის ბრძანება
- კონკურსის პირველ ეტაპზე წარსადგენი საგანაცხადო ფორმა
- კონკურსის პირველ ეტაპზე წარსადგენი კვლევის გეგმა/პირველადი იდეა
- კონკურსის პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები
- კონკურსის მეორე ეტაპზე, ფონდის ელექტრონულ ბაზაში ასატვირთი პროექტის აღწერილობა
- კონკურსის მეორე  ეტაპის შეფასების კრიტერიუმები
- კონკურსის სამეცნიერო მიმართულებები და ქვეკატეგორიები

განმცხადებლებისათვის ჩატარდება ჯგუფური კონსულტაციები კონკურსის კოორდინატორთან:
30 სექტემბერი,  29 ოქტომბერი, 2015 წ. 16:00 სთ-ზე ფონდის საკონფერენციო დარბაზში;
მისამართი: მ. ალექსიძის 1, III სართული.

დეტალური ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

პროგრამის კოორდინატორი მაკა ქაჯაია
მისამართი: მ. ალექსიძის №1, III სართული
ტელ: + (995 32) 2 200 220 (4409); 577 97 72 02
ელ-ფოსტა: kajaia@rustaveli.org.ge
ვებ-გვერდი: www.rustaveli.org.ge

გისურვებთ წარმატებებს!